



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვ ა მ თ პ ი ც ი ბ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მ/შ

A handwritten signature in blue ink, appearing to read "ა. ჭავჭავაძე".

თორნიკე შერმადინი

12 ნოემბერი

„-----“ 2012 წელი

ეგზ 2

სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია“

2010 და 2011 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში ლ 22/00

შინაარსი

სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის“ ზოგადი აღწერა	3
აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა	4
ხორბლის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა	4
სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა	5
სათესლე მასალის შერჩევა და შესყიდვა	5
ფერმერთა ინფორმირებულობა	7
სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა	8
პროექტში მონაწილე კონსულტანტები	8
სიმინდის მოსავლიანობის და შედეგობრიობის ანალიზი	9
მოცვის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა	10
ნიადაგის მოწყობა	10
ნერგების დარგვა	11
მარცვლეულის შესანახი ცენტრები	12
სასუქით უზრუნველყოფის პროგრამა	15
შემოტანილი სასუქის რაოდენობა	15

სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის“ ზოგადი აღწერა

დაარსდა: 2010 წლის 29 მარტს

კორპორაციის შექმნის მიზანი და განსახორციელებელი პროექტები:

კორპორაციის შექმნის მიზანია საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა და ქვეყნის მასშტაბით მოსავლიანობისა და წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის ზრდა.

2010-2011 წლებში კორპორაციის მიერ განხორციელებული და დასრულებული პროექტებია:

- ხორბლის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა;
- სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა;
- მოცვის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა;
- მარცვლეულის გასაშრობი ცენტრები;
- სასუქით უზრუნველყოფის პროგრამა.

კორპორაციის მისამართი:

საქართველო, ქ. თბილისი, 0159, ახმეტელის 10ა,

ტელ: (995 32) 2 605 300

შემოკლებანი

სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია“- კორპორაცია;

სსიპ „კაჭრეთის პროფესიული სწავლების ცენტრი“ - ცენტრი;

65 MK – 65 000 მარცვლიანი დაფასოებით ჰიბრიდული სიმინდის სათესლე მასალის ტომარა;

16 MK – 16 000 მარცვლიანი დაფასოებით ჰიბრიდული სიმინდის სათესლე მასალის ტომარა;

Pioneer Hi-Bred Switzerland S.A. - პიონერი;

ჰიბრიდული სიმინდის სათესლე მასალა - სათესლე მასალა.

აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა

გამომდინარე იქიდან, რომ აუდიტის პროცესში კორპორაციაში ინერგებოდა ახალი საბუღალტრო პროგრამა, ბურალტრული ოპერაციები სრულად არ იყო ასახული პროგრამაში. ამიტომ, ჩვენ ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ შემოწმებულ ოპერაციათა ჩამონათვალი იყო სრული.

ხორბლის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა

ხორბლის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სათესლე ხორბლის შესყიდვის მიზნით სოფლის მეურნეობის კორპორაციამ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით¹ გააფორმა ხელშეკრულება „James Reneau Seed Co”-სთან 2000 ტონა (20კგ-იანი 100,000 ტომარა) ხორბლის სერტიფიცირებული თესლის შესყიდვის შესახებ, ღირებულებით 1,400,000 აშშ დოლარი. შესყიდვის საგანს წარმოადგენდა პირველი თაობის ხორბლის სერტიფიცირებული თესლი „Jagger”-ი დამუშავებული ფუნგიციდით, სიწმინდე-99%; გაღივება-90%. ხელშეკრულების თანახმად, მოწოდებულ პროდუქციას თან უნდა ერთვოდეს ხარისხის სერტიფიკატი (გაცემული Kansas Crop Improvements და/ან Oklahoma Crop Improvement-ს მიერ). აღნიშნული სერტიფიკატები თან ერთვოდა თითოეულ ტომარას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2010 და 2011 წელს შესყიდული და რეალიზებული ხორბლის სათესლე მასალის რაოდენობები და არსებული ნაშთები:

პერიოდი	ოპერაცია	წონა (კგ)
2010 წელი	შესყიდვა	2,000,000
2010 წელი	გაყიდვა	(1,608,330)
31.12.2010	ნაშთი	391,670
2011 წელი	გაყიდვა	32,330
2011 წელი	ჩამოწერა	4,340
14.09.2011	ნაშთი	355,000
14.09.2011	გადაეცა მარცვლეულის ლოჯისტიკის კომპანიას	355,000
31.12.2011	ნაშთი	0

აღმოჩენილი უზუსტობა

თესლის ხარისხის დასადასტურებლად საერთაშორისოდ აღიარებულია „ISTA”-ს და „OECD”-ის მიერ გაცემული სერტიფიკატები, რაც მოწოდებულ პროდუქციას თან არ ახლდა, რადგან კორპორაციასა და „James Reneau Seed Co”-ს შორის სათესლე მასალის შეძენაზე გაფორმებული ხელშეკრულება მსგავს სერტიფიკატების ქონას არ ითვალისწინებდა.

შესაძლო გვლერა

Kansas Crop Improvements და Oklahoma Crop Improvement-ის მიერ გაცემული ხარისხის სერტიფიკატები არ არის საერთაშორისო აღირების მქონე. არსებობდა რისკი იმისა, რომ შემოტანილი პროდუქციის ხარისხი არ ყოფილიყო იმ ტექნიკური მაჩვენებლების შესაბამისი, რომელიც მოთხოვნილი იყო კორპორაციის მიერ შესყიდვამდე.

¹ საქართველოს მთავრობის განკარგულება N 847 03.07.2010

სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა

სათესლე მასალის შერჩევა და შესყიდვა

ჰიბრიდული სიმინდის სათესლე მასალის შესყიდვის მიზნით, კორპორაციის მიერ 2010 წლის 18 დეკემბერს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად მიჩნეულია და შესაბამისად ხელშეკრულება გაფორმებულია „Pioneer Hi-Bred Switzerland S.A.“-სთან.

2010 წლის 17 დეკემბრისთვის ჰიბრიდული სიმინდის წარმოების პროექტის მიმართ ინტერესი გამოხატა 13,307 რეგისტრანტმა და დააფიქსირეს, რომ თუ მათ დააკმაყოფილებთ პროექტში მონაწილეობის პირობები, სურთ დათესონ ჰიბრიდული სიმინდის თესლი ჯამში - 12,629.6 (ჰა) ფართობზე.

აღმოჩენილი ნაკლოვანება:

მიუხედავად ამისა, 18 დეკემბერს გამოცხადებული ტენდერის შესაბამისად შესასყიდი სათესლე მასალის რაოდენობა განისაზღვრა 25,000 (ჰა) ოდენოდით. შედეგად კორპორაციამ შეისყიდა 98%-ით (12,370.4 ჰა) მეტი ვიდრე ესაჭიროებოდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ივარაუდებდნენ, რომ ყველა დაფიქსირებული რეგისტრანტი მიიღებდა მონაწილეობას პროექტში, რაც გონივრულად საეჭვო უნდა ყოფილიყო, შესყიდულია 98%-ით (12,370.4 ჰა) მეტი ოდენობის, რადგან სინამდვილეშიც რეგისტრანტების მხოლოდ მცირედმა ნაწილმა მიიღო მონაწილეობა პროგრამაში.

შესაძლო გავლენა

იმაზე ბევრად მეტი სათესლე მასალის შემოტანა, ვიდრე გამოკითხვებით დადგინდა რომ გაიყიდებოდა, მიუთითეთებს იმ ფაქტზე, რომ კორპორაცია არ ითვლასწინებდა წინასწარ მარკეტინგული კვლევების ანალიზს. ამიტომ გადაწყვეტილებების მიღებისას, არ იქნა გათვალისწინებული კვლევის შედეგები.

აღმოჩენილი ნაკლოვანება

2011 წლის აპრილის თვეში კორპორაციამ განახორციელა დამატებით 5,0 ათასი ტომარა (5000 ჰექტრის სამყოფი) სათესლე მასალის შემოტანა. რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყო 1,100 ათასი ლარი². შესყიდვის ხელშეკრულების საუმცელზე შემოტანილია 2,5 ათასი ერთეული PR35F38 (65 MK) და 2,5 ათასი ერთეული PR35P12 სახეობის (65 MK) სათესლე სიმინდი. კორპორაციის ბალანსზე ნაშთად რიცხული სიმინდის სათესლე მასალის რაოდენობიდან (6 650 ჰა-ზე სამყოფი) ჩანს რომ, ფაქტობრივად კორპორაციის მიერ ვერ განხორციელდა შემოტანილი პროდუქციის ათვისება, რაც შესაბამისად მიუთითებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით სახსრების გამოყოფის არამიზანშეწონილობაზე.

შესაძლო გავლენა

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კორპორაციის ბალანსზე რიცხული 1 040 053 ლარის სათესლე მასალის მარაგის ნაშთიც ცხადყოფს, რომ შემოტანილი პროდუქციის რაოდენობა ბევრად აღემატებოდა რეალურად რეალიზებულ რაოდენობას.

² საქართველოს მთავრობის 2011 წლის განკარგულება N513

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სათესლე მასალის მარაგის ბრუნვა თითოეული სახეობის მიხედვით:

ჰიბრიდული სიმინდის კოდი	ტომრების რაოდენობა 16MK	ტომრების რაოდენობა 65MK	საერთო ღირებულება (ლარი) 16MK	საერთო ღირებულება (ლარი) 65MK
კორპორაციის მიერ შესყიდული სიმინდი				
PR35F38	26,400	8,900	1,081,040	1,390,519
PR32B10	12,200	-	488,410	-
PR35P12	-	11,100	-	1,740,651
PR38R92	2,050	-	82,085	-
სულ	40,650	20,000	1,651,536	3,131,169
კორპორაციის მიერ რეალიზებული სიმინდი				
PR35F38	5,326	7,079	218,092	1,106,009
PR32B10	661	-	27,067	-
PR35P12	-	6,483	-	1,012,891
PR38R92	1,865	-	76,369	-
სულ	7,852	13,562	321,527	2,118,901
კორპორაციის მიერ გამგეობებზე გადაცემული სიმინდი				
PR35F38	20,264	-	829,780	-
PR32B10	11,528	-	472,054	-
PR35P12	-	-	-	-
PR38R92	171	-	-	-
სულ	31,963	-	1,301,834	-
კორპორაციის ბალანსზე არსებული სიმინდის ნაშთი				
PR35F38	810	1,821	33,168	284,509
PR32B10	11	-	450	-
PR35P12	-	4,617	-	721,351
PR38R92	14	-	573	-
ნაშთი	835	6,438	34,192	1,005,861

განხორციელებულ ტენდერთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური პირობების მიხედვით, შესასყიდი პროდუქციის აღწერილობაში სავეგეტაციო პერიოდისა და ფერის გარდა სხვა მახასიათებლები დაკონკრეტებული არ არის. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი, მისაწოდებელი კონლის ტექნიკური მონაცემების აღწერილობის შესაბამისად სიმინდის თესლის სახეობები, რომელთა შესყიდვაზეც შემდგომში გაფორმებულია ხელშეკრულება, ხასიათდება სხვადასხვა ხარისხობრივი მახასიათებლებით. კერძოდ, პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ოთხი სახეობიდან, ზოგიერთის მოსავალი ორმაგი დანიშნულებისაა (სასილოსე და სამარცვლე), ცალკეული კარგია საკვებად (მეფრინველეობასა და მეცხოველეობაში) ნაწილი გამოსადეგია ფქვილისა და ბურღულეულის დასამზადებლად.

ჰიბრიდული სიმინდის თესლს გააჩნია ბევრი სხვა მნიშვნელოვანი თვისებები, რომლებიც განსაზღვრავენ არა მხოლოდ სიმინდის მოყვანის პროცესის ეფექტურობას, არამედ გასაწევი ხარჯების ოდენობასაც. ეს მაჩვენებლებია: სიმწიფის ჯგუფი (FAO), წარმადობა, გამძლეობა კლიმატური პირობების მიმართ (ყინვა, გვალვა), მედეგობა ჩაწოლისადმი სავეგიტაციო პერიოდის ბოლოს სრული სიმწიფის ფაზის მიღწევისას, ტენის გაცემის სიჩქარე, გამძლეობა დაავადებების და მავნებლების მიმართ, და ა.შ. არცერთი ზემოთ

ჩამოთვლილი კრიტერიუმი არ არის გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური პირობების ნაწილში.

აღმოჩენილი ნაკლოვანება

შეთავაზებული სათესლე მასალის ორი სახეობიდან PR35F38 და PR35P12 (ერთი და იგივე ფერი და სავეგეტაციი პერიოდი), ერთი (PR35F38) წარმოადგენდა მეორის (PR35P12-ის) გაუმჯობესებულ ანუ ახალი თაობის მაღალმოსავლიან ჰიბრიდს. მიუხედავად ამ გარემოებისა, ხელშეკრულებით, ორივე სახეობის შესყიდვა, განისაზღვრა იდენტურ ფასად.

კორპორაციის საწყობებში ნაშთად რიცხული სიმინდის სათესლე მასალის დაახლოებით 65% შეადგენს სწორედ ძველი თაობის ტიპის სათესლე მასალას (PR35P12).

შესაძლო გავლენა

აღნიშნულიდან გამომდინარე, სატენდერო კომისიის მიერ ფაქტობრივად არ განხორციელებულა შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების დაზუსტება და სატენდერო დოკუმენტაციის სათანადოდ შედგენა, რომელიც მოიცავდა სრულ ინფორმაციას შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით. შესყიდვის ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე, სატენდერო კომისიას შეეძლო გამოეყენებინა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება და სათათბირო ხმის უფლებით და/ან სატენდერო წინადადების განხილვის პროცესში მოეწვია შესაბამისი დარგის ექსპერტები და კონსულტანტები³.

ფერმერთა ინფორმირებულობა

ფერმერთა ინფორმირებულობის თვალსაზრისით, კორპორაციამ 2011 წლის მარტის თვეში დაბეჭდა აგროკალენდარი, სადაც გაწერილია სიმინდის წარმოებისას თუ რა აგროტექნოლოგიური ღონისძიებები უნდა ჩაატაროს ფერმერმა დროის შესაბამის მონაკვეთებში.

აღმოჩენილი ნაკლოვანება

როგორც აგრო კალენდრიდან ჩანს, აგროტექნოლოგიური ღონისძიებები იწყება ოქტომბრის თვიდან და გასტანს მომავალი წლის სექტემბრის თვემდე, თუმცა ფერმერებს აღნიშნული ბუკლეტები დაურიგდათ მარტში (5-6 თვის დაგვიანებით).

შესაძლო გავლენა

მოსავლიანობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზად, შესაძლოა აღნიშნული ნაკლოვანებაც მივიჩნიოთ, რადგან ოქტომბრიდან-მარტამდე ფერმერებს უნდა განხორციელებინათ შემდეგი ღონისძიებები:

თვე	ღონისძიება
ოქტომბერ-ნოემბერი	საშემოდგომო ხვნა
ოქტომბერ-იანვარი	ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქის შეტანა
თებერვალი-მარტი	ტოტალური ჰერბიციდის შეტანა

იმ ფერმერებს, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და მათ მიერ არ მომხდარა აგროკალენდარის პირობების დაცვა, აღნიშნული ფაქტი უარყოფითად იმოქმედებდა მათ მიერ მიღებულ მოსავალზე.

³ სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი.

სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა

კორპორაციასთან გაფორმებული სათესლე სიმინდის მიწოდების ხელშეკრულებით, პიონერს ასევე მოეთხოვებოდა სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა (დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოში და საქართველოს მთიან რეგიონებში ჯამში 10 ჰა ფართობზე) და მინდვრის დღეების ორგანიზება.

აღმოჩენილი ნაკლოვანება

პიონერის მიერ სადემონსტრაციო ნაკვეთებისა და მინდვირს დღეების მოწყობის შესრულება ვერ დასტურდება, რადგან კორპორაციის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რითაც დადასტურება ამ სამუშაოების მიღება (მიღება-ჩაბარების აქტები). კორპორაციის მხრიდან ვერ იქნა დასახელებული ვერც ერთი თანამშრომელი, რომელიც ახორციელებდა სადემონსტრაციო ნაკვეთებზე მონიტორინგს და ესწრებოდა მინდვრის დღეებს.

კორპორაციის მხრიდან ამ საკითხებთან დაკავშირებით, წარმოდგენილია შპს „გარემო და ანალიტიკას“ მიერ მოწოდებული სადემონსტრაციო ნაკვეთებზე ჩატარებული სამუშაოების ანგარიშები, 10 ჰა-ს ნაცვლად 206,7 ჰა-ს ფართობზე, სადაც ისიც კი არ არის აღნიშნული, თუ რა კულტურა იყო დათესილი და ვერ დასტურდება, რომ სადემონსტრაციო ნაკვეთები მოეწყო სწორედ იმ სიმინდის მასალაზე (PR35P12, PR35F38, PR38R92 და PR32B10), რომელიც პროექტის ფარგლებში შემოიტანა კორპორაციამ.

შესაძლო გავლენა

სადემოსტრაციო ნაკვეთების მოწყობის მთავარი მიზანია, მოხდეს დაკვირვება დათესილ კულტურებზე მთელი საკეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, რათა გამოვლინდეს ყველა ის გარემოება, რომლის გათვალისწინებაც უნდა ხდებოდეს მომავალ წლებში აღნიშნული კულტურის მოყვანის დროს. ასევე უნდა დადგინდეს საერთოდ ღირს თუ არა ამა თუ იმ კულტურის წარმოება.

პროექტის განხორციელების პროცესში სადემონსტრაციო ნაკვეთების არქონამ, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ფერმერთა მიერ მისაღები მოსავლის ხარისხსა და რაოდენობაზე, რადგან ისინი ვერ მიიღებენ ისეთ საკითხებზე რეკომენდაციებს, რომელთაც შეიძლება თავი იჩინონ პიბრიდული სიმინდის წარმოების პროცესში.

პროექტში მონაწილე კონსულტანტები

აღმოჩენილი ნაკლოვანება

სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, კონსულტანტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების არარსებობის გამო, ვერ დასტურდება ოფიციალურად პროექტში კონსულტანტების მონაწილეობა. კორპორაციის მენეჯმენტის მტკიცებით, კონსულტანტების ფუნქციას ასრულებდნენ რეგიონალური თვითმართველობების სწავლული აგრონომები. თუმცა, მათი უფლება-მოვალეობები, სადაც გარკვევით იქნებობა აღწერილი თუ რა ევალებოდათ, მოთხოვნის მიუხედავად ვერ იქნა წარმოდგენილი.

შესაძლო გავლენა

იქიდან გამომდინარე, რომ აუდიტის დროს ვერ გამოვლინდა თუ რა სახის რეკომენდაციები მიეცათ ფერმერებს კონსულტანტების მხრიდან, ჩნდება ეჭვი, რომ მათ მონაწილეობას ჰქონდა მხოლოდ ფორმალური ხასიათი და რეალურად მათი მხრიდან საკონსულტაციო სამუშაო ჯეროვნად არ შესრულებულა.

პიონერთან ხელშეკრულების დამატებითი პირობის თანახმად, 7 აგრონომისთვის უნდა მოწყობილიყო ტრეინინგი საზღვარგარეთ (ქვეყანა არ არის მითითებული) და 3 პიროვნებისთვის ვიზიტი აშშ-ში. 3 პირი იმყოფებოდა აშშ-ში 2011 წლის 17-24 ივნისს და 7 სწავლული აგრონომი - თურქეთში 2011 წლის 01-05 აგვისტოს.

კორპორაციის მენეჯმენტის განმარტებით, აღნიშნული კადრების გადამზადება პირდაპირ კავშირში იყო ფერმერთა ინტერესებთან და პროექტის წარმატებით განხორციელებასთან.

აღმოჩენილი ნაკლოვანება

წარმოდგენილი სიმინდის წარმოების აგროკალენდრის შესაბამისად, ივლისი-აგვისტოს თვეში უკვე მორჩენილია ყველა ძირითადი აგრონომიული აქტივობა, ამიტომ გავლილი ტრენინგი, შემდგომ რა დადებითი ეფექტის მომტანი უნდა ყოფილიყო პროექტში მონაწილე ფერმერთათვის გაუგებარია.

ასევე აღსანიშვანვია, რომ ვერ იქნა წარმოდგენილი გავლილი ტრეინინგის შესახებ ანგარიშები, საიდანაც დადგინდებოდა ტრენინგზე კონსულტანტების მიერ შესასწავლი მასალა.

შესაძლო გავლენა

პიონერის მიერ აღნიშნული ტრენინგების ჩატარებას უფრო მეტად ჰქონდა ფორმალური ხასიათი, ვიდრე ის, რომ ეს მართლაც სასარგებლო ყოფილიყო ფერმერთათვისაც. რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს პროექტის განხორციელების მომენტში დაშვებულ ნაკლოვანებებზე.

სიმინდის მოსავლიანობის და შედეგობრიობის ანალიზი

სოფლის მეურნეობის კორპორაციის აუდიტის დროს, შემთხვევითი შერჩევით ჩატარდა სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამაში მონაწილე ფერმერთა სატელეფონო გამოკითხვა.

სულ გამოკითხვამ მოიცვა ინფორმაცია იმ ფერმერებისგან, რომელთა საერთო დათესილი ფართობი შეადგენდა 3 878.25 ჰექტარს, რაც პროგრამის ფარგლებში მთლიანად რეალიზებული სათესლე მასალის (15 460 ჰა) 25%-ს შეადგენს.

აღმოჩენილი ნაკლოვანება

რესპონდენტთა ინფორმაციით, ისინი ვინც 2011 წლამდე თესავდა სიმინდს, საშუალო მოსავალს ერთ ჰქონდნენ - 5,61 ტონას, ხოლო 2011 წელს სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საშუალოდ მიღებული მოსავალი 2,97 ტონას არ აღემატება, რაც წინა წლებში მიღებული მოსავლის მხოლოდ 53%-ია.

შესაძლო გავლენა

ფერმერთა გამოკითხვამ ცხადყო, რომ აღნიშნულმა პროექტმა არ გაამართლა ის მოლოდინი, რაც იყო პროექტის დაწყებმადე. ფერმეთა დიდი ნაწილისათვის აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა გახდა მათთვის მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგების მომტანი.

აღმოჩენილი ნაკლოვანება

გამოკითხულთა ინფორმაციით, სიმინდის წარმოებისათვის საშუალოდ ერთ ჰქექტარზე დანახარჯებმა შეადგინა - 1537 ლარი და შესაბამისად ერთი კილოგრამი სიმინდის თვითღირებულებამ (2,97 ტ/ჰა-ზე) შეადგინა 0,517 ლარი.

შესაძლო გავლენა

ადსანიშნავია, რომ იმპორტირებული საფურაჟე სიმინდის საბაზრო ფასი 2011 წლის განმავლობაში იყო დაახლოებით 0.50-0.55 ლარი, რაც ცხადყოფს, რომ აღნიშნულ პირობებში, პროექტში მონაწილე ფერმერის, მოწეულ სიმინდს (თვითღირებულება 0.517 ლარი) რეალიზაციის მხრივ გაუჭირდებოდა კონკურენციის გაწევა იმპორტირებულ სიმინდთან.

გამოკითხის შედეგად, 135 რეაპონდენტიდან მოგება პროექტში მონაწილეობიდან მიიღო მხოლოდ 34-მა (25%). დანარჩენება 75%-მა ან მხოლოდ დანახარჯები დაფარა, ან იზარალა.

მოცვის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა

მოცვის მოყვანის სადემონსტრაციო პროექტის განხორციელების მიზნით, კორპორაციასა და კომპანია „Fall Creek“-ს (აშშ) შორის გაფორმდა ხელშეკრულება⁴ საერთო თანხით 275,9 ათასი აშშ დოლარი, რომლის თანახმადაც, შემსრულებელს უნდა განეხორციელებინა საქართველოს სამ რეგიონში (სამეგრელო, გურია და აჭარა) მოცვის სადემონსტრაციო ნაკვეთებზე საკონსულტაციო მომსახურება, რაც მოიცავდა:

- კორპორაციისთვის რეკომენდაციების გაწევას იმის დასადაგენად, არის თუ არა მოცვის კომერციული წარმოება სიცოცხლისუნარიანი;
- სამეურნეო წარმოებისათვის ხარჯების დეტალური გეგმის შედგენა;
- კორპორაციის თანამშრომელთა ტრენინგი;
- დარგვის წინა პერიოდთან დაკავშირებული კონსულტაციები;
- დარგვის შემდგომ მოვლასთან დაკავშირებული კონსულტაციები;

ნიადაგის მოწყობა

მოცვის კულტურის სადემონსტრაციო ნაკვეთების ნიადაგის მოწყობისათვის, კორპორაციის მიერ შესყიდულია 1350 მ³ ნახერხი, საერთო ღირებულებით 3260 ლარი.

აღმოჩენილი უზუსტობა

1161 მ³ ნახერხი შესყიდულია 1370 ლარად (1მ³ - 1,18 ლარი)⁵, ხოლო 189 მ³ ნახერხი სხვა მომწოდებლისგან შეძენილია - 1890 ლარად (1მ³ - 10 ლარი)⁶.

აღმოჩენილი უზუსტობა

შესყიდული ნახერხის ტრანსპორტირებისათვის გაფორმებული ხელშეკრულების⁷ საფუძველზე, ხაშურის რაიონიდან სოფელ რუხისა (სამეგრელო) და დაბა ნარუჯას (გურია) მიმართულებით განხორციელებულია 50 რეისი. ტრანსპორტირების ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენდა 42,5 ათას ლარს (ერთი რეისი - 850 ლარი დღგ-ს ჩათვლით).

შესაძლო გავლენა

იმ შემთხვევაში, თუ ნახერხი მოძიებული იქნებოდა დასავლეთ საქართველოში, დაახლოებით 3260 ლარის ღირებულების საქონლის ტრანსპორტირებაში 42 500 ლარის ტრანსპორტირების ხარჯს თავიდან აიცილებდა კორპორაცია.

⁴ 2010 წლის 31 დეკემბრის ხელშეკრულება (რეგისტრაციის N2363/2-21)

⁵ 2011 წლის 19 აპრილის ხელშეკრულება N2/040, შპს „ჯორჯიან თიმბერ ინტერნეიშენელთან“

⁶ 2011 წლის 20 აპრილის ხელშეკრულება N2/044, შპს „ნაძვი“

⁷ 2011 წლის 20 აპრილის ხელშეკრულება ი/მ „პაატა იაკობაშვილთან“

ადმონიტილი უზუსტობა

შპს „ანასეულთან“⁸ გაფორმებული ხელშეკრულებით (საერთო ღირებულება 4,126 ლარი) განსაზღვრული იყო ფლორა-ფაუნის, წყლის და ნიადაგის ნიმუშის ხარისხობრივი ტესტირება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დასტურდება ხელშეკრულებით განსაზღვრული წყლისა და ფლორა-ფაუნის შესწავლის სამუშაოების შესრულება, რადგან კორპორაციის მიერ წარმოდგენილია ცენტრი „ანასეულის“ კვლევის შედეგები და რეკომენდაციები, რომელშიც მოცემულია მხოლოდ ნიადაგის მქანიკური შემადგენლობის ლაბორატორიულ კვლევაზე. შესაბამისად, ვერ დასტურდება კორპორაციის მიერ 2,540 ლარის ოდენობის ხარჯის გაწევის მიზანშეწონილობა.

შესაძლო გავლენა

გარემო პირობების სათანადოდ არ ცოდნა, ზრდის რისკს იმისას, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე დარგულმა მოცვის ნერგებმა საერთოდ ვერ იხაროს და მთლიანად 1,125.8 ათასი ლარის ინვესტიცია იყოს არასწორად მიმართული.

ნერგების დარგვა

მოცვის სადემონსტრაციო ნაკვეთების მოსაწყობად, „Fall Creek Farm & Nursery Inc“-თან („Fall Creek“-ის შვილობილი კომპანია) გაფორმებული ხელშეკრულების⁹ საფუძველზე, კორპორაციის მიერ 2011 წლის მაისის თვეში, აშშ-დან შემოტანილია 152,5 ათასი აშშ დოლარის ღირებულების 56 010 ერთეული სხვადასხვა ჯიშის მოცვის ნერგები.

შემოტანილი ხეხილის კულტურის დარგვა პირველ ეტაპზე განხორციელდა მხოლოდ სამეგრელოსა (სოფ. რუხი - 21 863 ნერგი) და გურიაში (დაბა ნარუჯა - 34 147 ნერგი).

ადმონიტილი უზუსტობა

შემოტანილი კულტურების დარგვა ორივე რეგიონში განხორციელებულია ივნისის თვის ბოლოს, დარგვის ხელსაყრელ პერიოდს კი, წარმოადგენს შემოდგომა და გაზაფხული.

შესაძლო გავლენა

აგროკალენდრის დაუცველობა, შეიძლება გამხდარიყო ახალი ნერგების ზრდისა და განვითარებისათვის ხელისშემმართველი ფაქტორი, რაც ასევე იმოქმედებდა მოსავლიანობის დაბალ მაჩვენებლზე.

⁸ შპს „ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი“

⁹ 2011 წლის 3 მარტის ხელშეკრულება N3/016-2

აჭარის რეგიონის სოფ. ცეცხლაურში წერგების გადარგვა, სოფ. ნარუჯადან განხორციელებულია 2012 წლის პერიოდში. თავდაპირველად წერგების სოფ. ნარუჯაში დარგვის მიზეზს, კორპორაციის მენეჯმენტის განმარტებით, წარმოადგენდა სოფ. ცეცხლაურში გამოყოფილი მიწის ნიადაგის სრულ კონდიციამდე დაუმუშავებლობა (მძიმე კლიმატური პირობები) და ნაკვეთზე სარწყავი წყლის არარსებობა.

აღმოჩენილი უზუსტობა

სოფელ ცეცხლაურში მდებარე მიწის ნაკვეთის წყლით უზრუნველყოფის მიზნით, სამუშაოები ხორციელდებოდა პარალელურად ორი მიმართულებით:

1. ჭაბურღილის მოწყობა

ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებზე გაწეულმა მთლიანმა ხარჯმა შეადგინა 45,5 ათასი ლარი.

2. მდინარე „წყავროკადან“ წყლის მიღების სამუშაოები

მდინარე „წყავროკადან“ წყლის მიღების პირველი ეტაპის სამუშაოებს წარმოადგენდა, ნაკვეთის ფართობზე მოსაწყობი სარწყავი სისტემის დეტალური პროექტის შედეგენა (28,8 ათასი ლარი), რომლის საფუძველზეც შემდგომში უნდა შესრულებულიყო სამუშაოები, თუმცა მდინარე წყავროკადან წყლის უზრუნველყოფის შემდგომი სამუშაოები არ განხორციელებულა და ნაკვეთის წყლით უზრუნველყოფა ხორციელდება შპს „პიდროგეოლოგის“ მიერ მოწყობილი ჭაბურღილის საშუალებით.

შესაძლო გავლენა

წყლით უზრუნველყოფის სამუშაოების წარმოებისა და შესაბამისად ორივე მიმართულებით ხარჯების გაწევა (სამუშაოები ხორციელდებოდა პარალელურად), კორპორაციის ხელმძღვანელობის მხრიდან განმარტებულია ჭაბურღილიდან წყლის მიუღებლობის ალბათობის არსებობით.

აღნიშნული ფაქტი მიუთითებს პროექტის განხორციელების დროს დაშვებულ შეცდომებზე, რადგან მოცემულ მიწის ნაკვეთზე მოცვის დარგვა ისედაც 6-7 თვის დაგვიანებით მოხდა, კორპორაციის მხრიდან უფრო ადრე რომ განხორციელებულიყო კვლევები და შესაბამისი ბურღვითი სამუშაოები იმ ადგილზე, სადაც შემდგომ მიღებული იქნა წყლის მარაგი, კორპორაცია თავიდან აიცილებდა 28.8 ათასი ლარის საპროექტო სამუშაოს ხარჯს და სარწყავი სისტემის დეტალური პროექტის შედგენასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა მიზანშეწონილი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი ბურღვითი სამუშაოები ცხადყოფდა წყლის ვერ მიღების შემთხვევას.

მარცვლეულის შესანახი ცენტრები

საქართველოს მთავრობის განკარგულებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარცვლეულის შეგროვების, დამუშავებისა და შესანახი ცენტრების განვითარების ღონისძიებებისათვის, დაევალა კორპორაციისათვის გამოყენებული 9,000 (ათასი) ლარი, რაც მოხმარდა ლაგოდებსა და აბაშაში მარცვლეულის გასაშრობი მოწყობილობების მშენებლობასა და მონტაჟს. პროექტის მთლიანი ღირებულება განისაზღვრა 10,663 (ათასი) ლარით, სადაც 1,663 (ათასი) ლარი შეადგენდა კორპორაციის შიდა სახსრებს.

აღმოჩენილი უზუსტობა

წარმოდგენილი ინფორმაციით, კორპორაციის მიერ პროექტის დაწყებამდე წინასწარ არ იქნა ჩატარებული რაიმე სახის ფინანსური გაანგარიშებები (IRR, NPV, EBITA, BEP და ა.შ.) ისინი განხორციელდა მხოლოდ პროექტის მიმდინარეობისას, კერძოდ - დეკემბრის თვეში. ამდენად, ფინანსური თვალსაზრისით რამდენად მოგებიანი იქნებოდა აღნიშნული პროექტი, მენეჯმენტს ამის შესახებ არ ჰქონდა შექმნილი სათანადო წარმოდგენა. ასევე ამ დრომდე არ არის გაანგარიშებული შრობის თვითღირებულება ცალკეული ცენტრისათვის.

შესაძლო გავლენა

ფინანსური გათვალების არ არსებობა, ხელს უშლის ხელმძღვანელობის მხრიდან სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, აღნიშნულმა შეიძლება გამოეწვია კორპორაციისთვის ფინანსური დანაკარგები.

აღმოჩენილი უზუსტობა

თვითღირებულების გაანგარიშებისას კორპორაციის მიერ გათვალისწინებულ იქნა პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონების დაზღვევის ხარჯები 3%-ის ოდენობით. თუმცა, წარმოდგენილი მასალების საფუძველზე გაირკვა, რომ კორპორაციას დღემდე არ აქვს ქონება დაზღვეული.

შესაძლო გავლენა

არსებობს რისკი იმისა, რომ შესაძლებლია მოხდეს ისეთი გაუთვალისწინებელი და უსიამოვნო შემთხვევები (ხანძარი, საქვაბების, გაზგაყვანილობის ან სხვა ანალოგიური მოწყობილობების აფეთქება, სტიქიური უბედურება, მესამე პირთა ბოროტ განზრახული ქმედება და ა.შ.), რომლის შედეგადაც, კორპორაციას მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი.

აღმოჩენილი უზუსტობა

რპორაციის მიერ მარცვლეულის შრობის თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდიკა აგებულ იქნა იმ დაშვებაზე, რომ ყველა დანახარჯი წლის განმავლობაში უცვლელი დარჩებოდა (მათ შორის ცვლადი დანახარჯებიც: ელ. ენერგია და გაზი და.შ.), მიუხედავად გაწეული მომსახურების რაოდენობისა.

შესაძლო გავლენა

კორპორაციის მიერ გაანგარიშებული თვითღირებულება ბევრად მეტია რეალურ თვითღირებულებაზე. მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ შემდეგი შემთხვევა: კორპორაციის მიერ მომსახურების თვითღირებულება დაანგარიშებულ იქნა X ტონა მარცვალზე. დავუშვათ, რომ X ტონის გაშრობას უნდა 30,000 მ³ გაზი და 15,000 კვ-ტი ელექტრო ენერგია, რომელთა ჯამური დანახარჯები 25 000 ლარია. თუმცა, თუ წლის განმავლობაში კორპორაციამ გააშრო X ტონაზე ნაკლები მარცვალი, მომსახურების თვითღირებულებაში მაინც ჩართული იქნება გაზისა და ელექტრო ენერგიის არა ის დანახარჯი, რომლის მომსახურებაც რეალურად იქნა გაწეული წლის განმავლობაში, არამედ X ტონაზე სავარაუდოდ გაანგარიშებული გაზისა და ელექტრო ენერგიის 25 000 ლარის დანახარჯები, რაც თავის მხრივ ზრდის მომსახურების თვითღირებულებას.

ჩითელ კვადრატში წარმოდგენილია კორპორაციის მიერ მარცვლეულის შრობის თვითღირებულების ნგარიშების მეთოდი, ხოლო ღურჯში ის მეთოდი, როგორც უნდა იყოს:

მუდმივი დანახარჯები

- ✓ ხელფასი
- ✓ ცვეთა
- ✓ დაზღვევა
- ✓ ოფისის კომუნალური ხარჯები
- ✓ მანქანა-დანადგარების გაზი,
ელ/ენერგია და საწვავი



მუდმივი დანახარჯები

- ✓ ხელფასი
- ✓ ცვეთა
- ✓ დაზღვევა
- ✓ ოფისის კომუნალური ხარჯები
ცვლადი დანახარჯები
- ✓ მანქანა-დანადგარების გაზი,
ელ/ენერგია და საწვავი

აღმოჩენილი უზუსტობა

თვითდირებულების გაანგარიშებაში არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ფერმერის მიერ შეიძლება ყოფილიყო მოტანილი არა 28% ტენიანობის მარცვლეული, არამედ უფრო დაბალი ტენიანობის (მაგ: 24% ან 20% ტენიანობის). მიუხედავად ამისა ფერმერებს ყველა შემთხვევაში უწევთ 1კგ-ის გაშრობაზე 8 თეთრის გადახდა.

შესაძლო გავლენა

აღნიშნული მიდგომით არასწორადაა შემუშავებული ფასდადგენის პოლიტიკა, რაც მაგალითის სახით შეიძლება განვიხილოთ შემდგეზე: დავუშვათ, რომ ერთ-ერთი პიროვნების მარცვლეულის ტენიანობა შეადგენს 28%-ს, ხოლო მეორესი 20%-ს. ასეთ შემთხვევაში, კორპორაცია ორივე პიროვნებას ახდევინებს მომსახურების ერთი და იგივე საფასურს. ეს მაშინ, როცა 28%-იანი ტენიანობის მარცვლის შესაბამის დონემდე (14% ტენიანობამდე) დასაყვანად გაიწევა ბევრად მეტი დანახარჯი (გაზი და ელ-ენერგია), ვიდრე 20%-იანი ტენიანობის მარცვლის შესაბამის დონემდე დაყვანისას.

აღმოჩენილი უზუსტობა

თვითდირებულების გაანგარიშებისას ჩართული იქნა განმარცვლასთან და მარცვლეულის 1 თვის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები.

შესაძლო გავლენა

როდესაც ფერმერს მოაქვს განმარცვლილი სიმინდი (არა ტარო) და სურს მხოლოდ მარცვლეულის გაშრობა, ის მაინც იხდის იმ საფასურს (1კგ-ზე 8 თეთრს), რომელშიც უკვე გათვალისწინებულია განმარცვლისა და მარცვლეულის 1 თვის შენახვის დანახარჯები, რაც თავის მხრივ უძვირებს პირს მარცვლეულის შრობის დანახარჯებს.

სასუქით უზრუნველყოფის პროგრამა

სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციასა“ და "ევერრის ინტერნეიშენლ ბვ"-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება¹⁰ 600 000 კგ სასუქის ("აგრობლენი" და "აგრომასტერი") შესყიდვის შესახებ. მთავრობის დადგენილებით¹¹ შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის ფორმით და მთლიანმა სახელშეკრულებო თანხამ შეადგინა 561 000 ევრო.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში წარმოდგენილია შეძენილი, რეალიზებული და ნაშთად რიცხული სასუქის მარაგი, ერთეული ტომრის თვითრიცხულებულება დამრგვალებულია მეათედამდე:

შემდნა

დასახელება	ტომარა (ცალი)	რაოდენობა (კგ)	თვითღირებულება (ტომარა/ლარი)	თვითღირებულება (ლარი)
აგრობლენი	12,000	300,000	56.4	677,351
აგრომასტერი	12,000	300,000	54.5	653,640
სულ	24,000	600,000		1,330,991

გაყიდვა

დასახელება	ტომარა (ცალი)	რაოდენობა (კგ)	თვითღირებულება (ტომარა/ლარი)	თვითღირებულება (ლარი)
აგრობლენი	1,734	43,350	56.4	97,877
აგრომასტერი	-	-	54.5	-
სულ	1,734	43,350		97,877

ნაშთი

დასახელება	ტომარა (ცალი)	რაოდენობა (კგ)	თვითღირებულება (ტომარა/ლარი)	თვითღირებულება (ლარი)
აგრობლენი	10,266	256,650	56.4	579,474
აგრომასტერი	12,000	300,000	54.5	653,640
სულ	22,266	556,650		1,233,114

შემოტანილი სასუქის რაოდენობა

აღმოჩენილი უზუსტობა

როგორც ზემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს, სულ შეძენილია 24 000 ტომარა სასუქი და რეალიზებულია 1 734 ტომარა, რაც მთლიანად შემოტანილის მხოლოდ 7% შეადგენს.

შესაძლო გავლენა

კორპორაციის საწყობში ნაშთად რიცხული 1,233,114 ლარის ღირებულების სასუქის არსებობა, წარმოშობის რისკს იმისას, რომ აღნიშნული მარაგების რეალიზაცია ვერ მოხერხდეს დროულად.

დროთა განმავლობაში, საწყობში არსებული მარაგი შესაძლოა დაზიანდეს და დაკარგოს პირველადი კონდიცია, რაც მთლიანად მასში ჩადებული ინვესტიციის ამოღებაზე იმოქმედებს უარყოფითად.

¹⁰ ხელშეკრულება N 11-150/1 15.07.2011წ.

¹¹ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული მთავრობის დადგენილება N 228



სს“საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია“

სარეკომენდაციო წერილი ხელმძღვანელობას

2010 და 2011 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობის
კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონფიდენციალურად ხელმძღვანელობას

შინაარსი

ტენდერის ჩატარების პროცედურები	3
პროექტის მიმდინარეობისას განხორციელებული ღონისძიებები.....	3
არაეფუქტური ხარჯები.....	3
პროექტის განხორიცელებისას დროის არასწორი დაგეგმვა	4
შემოტანილი პროდუქციის რაოდენობა	4
პროექტის განხორციელებამდე ჩატარებული ბიზნეს გათვალები	4
თვითღირებულების გაანაგრიშება.....	5

კონფიდენციალურად ხელმძღვანელობას

ტენდერის ჩატარების პროცედურები

დაკვირვება

სატენდერო დოკუმენტაციაში არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული შესყიდვის ობიექტის მასაზიასთებლებთან დაკავშირებით ინფორმაცია.

გავლენა

შემოსატანი პროდუქციის თვისობრივი მახასიათებლების დაუზუსტებლობამ, შესაძლოა გავლენა იქონიოს პროექტების წარმატებულ განხორცილებაზე და ის შესაძლო მიზნები, რაც ამა თუ იმ საქონლის ან მომსახურებით არის მისაღწევი ვერ იქნეს სრულყოფილად მიღწეული.

რეკომენდაცია

სასურველია, შესყიდვამდე განხორციელდეს მახასიათებლების დაზუსტება და გათვალისწინებული იქნეს შესაბამისი დარგის ექსპერტების კვალიფიციური მოსაზრებები ამა თუ იმ საქონლის ან მომსახურების შესყიდვაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო რისკი.

პროექტის მიმდინარეობისას განხორციელებული ღონისძიებები

დაკვირვება

კორპორაციის მიერ პროექტების ფარგლებში განხორციელებული რიგი ქმედებები შესრულებულია არასრულფასოვნად და დროსთან შეუსაბამოდ.

გავლენა

გატარებული ღონისძიებების ფორმალობა ურაყოფით გავლენას ახდენს მისაღები შედეგების ხარისხსა და რაოდენობაზე, ასევე ზრდის კომპანიის მიერ გაწეულ დანახარჯებს.

რეკომენდაცია

რეკომენდირებულია, რომ კორპორაციამ პროექტის მიმდინარეობისას მეტი ყურადღება დაუთმოს ყველა იმ ღონისძიების სრულყოფილად განხორციელებას, რასაც ითვალისწინებს ესა თუ ის პროექტი, რაც დადებითად აისახება საბოლოოდ მიღებულ შედეგებზე.

არაეჭუქტური ხარჯები

დაკვირვება

ზოგიერთ შემთხვევაში, ტრანსპორტირებაში გადახდილი თანხა დიდად აჭარბებს გადასაზიდი პროდუქციის ღირებულებას.

გავლენა

ტრანსპორტირების ხარჯით საგრძნობლად გაზრდილია პროდუქციის თვითდირებულება.

რეკომენდაცია

მიზანშეწონილია საჭირო პროდუქციის მოძიების მიზნით, რეგიონების მიხედვით განხორციელდეს ბაზრის წინასწარი კვლევა.

კონფიდენციალურად ხელმძღვანელობას

პროექტის განხორიცელებისას დროის არასწორი დაგეგმვა

დაკვირვება

პროექტის ფარგლებში შეზღუდულ ვადებში აუცილებელი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, კორპორაციას ერთი და იგივე სამუშაოები ჩატარებული აქვს ორი სხვადასხვა მიმართულებით.

გავლენა

დროის არასწორად დაგეგმვის გამო, გაზრდილია პროექტზე გაწეული ხარჯების მოცულობა.

რეკომენდაცია

პროექტების განხორციელების პროცესში, აუცილებელია კორპორაციამ მაქსიმალურად უზრუნველყოს საჭირო ღონისძიებების დროული განხორციელება, რათა გამოირიცხოს ერთი და იგივე სამუშაოზე რამდენიმე მიმართულებით მუშაობა.

შემოტანილი პროდუქციის რაოდენობა

დაკვირვება

კორპორაციის მიერ იმპორტირებული საქონლის მოცულობა, ბევრად აღემატებოდა ამავე პროდუქციის რეალიზაციის მოცულობას.

შესაძლო გავლენა

კორპორაციის საწყობში ნაშთად რიცხული საქონლის არსებობა, წარმოშობს რისკს იმისას, რომ აღნიშნული მარაგების რეალიზაცია ვერ მოხერხდეს დროულად.

დროთა განმავლობაში, საწყობში არსებული მარაგი შესაძლოა დაზიანდეს და დაკარგოს პირველადი კონდიცია, რაც მთლიანად მასში ჩადებული ინვესტიციის ამოღებაზე იმოქმედებს უარყოფითად.

რეკომენდაცია

პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მხრიდან აუცილებელია მოხდეს ბაზრის წინასწარი შესწავალა და დასახულ იქნას პრიორიტეტები. პროდუქციის შესყიდვისას გათვალისწინებულ იქნას მარკეტინგული კვლევის შედეგები.

პროექტის განხორციელებამდე ჩატარებული ბიზნეს გათვლები

დაკვირვება

ზოგიერთ შემთხვევაში, კორპორაციის მიერ პროექტის დაწყებამდე წინასწარ არ იქნა ჩატარებული რაიმე სახის ფინანსური გაანგარიშებები (IRR, NPV, EBITA, BEP და ა.შ.) ისინი განხორციელდა მხოლოდ პროექტის მიმდინარეობისას. ამდენად, ფინანსური თვალსაზრისით რამდენად მომგებიანი იქნებოდა აღნიშნული პროექტი, მენეჯმენტს ამის შესახებ არ ჰქონდა შექმნილი სათანადო წარმოდგენა. ასევე ამ დრომდე არ არის გაანგარიშებული შრობის თვითღირებულება ცალკეული ცენტრისათვის.

შესაძლო გავლენა

ფინანსური გათვლების არ არსებობა, ხელს უშლის ხელმძღვანელობის მხრიდან სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, აღნიშნულს შეიძლება გამოეწვია კორპორაციისთვის ფინანსური დანაკარგები.

კონფიდენციალურად ხელმძღვანელობას

რეკომენდაცია

პროექტის დაწყებამდე, მნიშვნელოვანია კორპორაციას გააჩნდეს ჩატარებული ფინანსური გაანგარიშებები (IRR, NPV, EBITA, BEP და ა.შ.), რაც კომპანიის ხელმძღვანელობას დაანახებს ნათელ სურათს ფინანსური თვალსაზრისით რამდენად მომგებანი იქნება განსახორციელებელი პროექტი.

თვითღირებულების გაანაგრიშება

დაკვირვება

თვითღირებულების გაანგარიშებისას კორპორაციის მიერ გათვალისწინებულია ქონების დაზღვევის ხარჯები. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაირკვა, რომ კორპორაციას დღემდე არ აქვს ქონება დაზღვეული.

შესაძლო გავლენა

არსებობს რისკი იმისა, რომ შესაძლებლია მოხდეს ისეთი გაუთვალისწინებელი და უსიამოვნო შემთხვევები (ზანძარი, აფეთქება, სტიქიური უბედურება, მესამე პირთა ბოროტ განზრახული ქმედება და ა.შ.), რომლის შედეგადაც, კორპორაციას მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი, ქონების დაზღვევის არ არსებობის გამო.

რეკომენდაცია

რეკომენდირებულია კორპორაციამ მოახდინოს ქონების განადგურებასთან და დაზიანებასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევა, ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური გათვლები ეფუძნებოდეს კორპორაციის რეალურ ხარჯებს.